



GEFITINIB - IRESSA®

რა არის IRESSA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
გეფიტინიბი	250 მგ ტაბლეტი: მრგვალი, ყავისფერი არსებობს სხვადასხვა ფორმის ჯენერიკები 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის 250 მგ-იანი 1 ტაბლეტი დღეში, რომლებიც მიიღება ერთი მიღებით, ყოველდღე.

გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების გარეშე. ტაბლეტების გახსნა შესაძლებელია (დაქუცმაცების გარეშე) ნახევარ ჭიქა წყალში (უგაზო). წყალში გახსნას შეიძლება 20 წუთამდე დასჭირდეს

მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეთ.

მიღების გამოტოვების შემთხვევაში, მიღება შესაძლებელია 12 საათის განმავლობაში. სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში, არ მიიღოთ დამატებითი დოზა და დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეთ									
უწყვეტლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7	...	 დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციების მაჩვენებლებს).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და სხვა მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

IRESSA®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ გრეიფრუტის ან კრაზანას მოხმარებას IRESSA®-თან.



რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: დიარეა, გულისრევა (მსუბუქი), ღებინება, პირის ღრუს ანთება (პირის ღრუს წყლულები), მუცლის ტკივილი, მადის დაკარგვა კანის დარღვევები: სინითლე, სიმშრალე, აკნე, ქავილი, ფრჩხილების ინფექცია ან აქერცვლა, თმის ცვენა, ალერგიული რეაქციები თვალეები: კონიუნქტივითი, თვალეების სიმშრალე ბიოლოგიური ანალიზის დარღვევები: ღვიძლის და/ან თირკმლის შეფასების ანომალიები სხვა: დაღლილობა, ფილტვების პრობლემები
ზოგიერთი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს	პაციენტები, რომლებიც არიან ციტოქრომ 2D6-ის სუსტი ეტაბოლიზატორები ლაქტოზის აუტანლობის მქონე პაციენტები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: > მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. კანის დარღვევები > კანის მნიშვნელოვანი ბუშტუკების ან ძლიერი აქერცვლის გაჩენა ფილტვების არეში დარღვევები > გაძლიერებული მუდმივი ხველა ან სუნთქვის გაძნელება თვალის პრობლემები > თვალის ტკივილი, ცრემლდენა ან სინითლე, მხედველობის დაბინდვა ან სინათლეზე მგრძნობელობა
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
კანის მოვლა	უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან თავის დასაცავად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზის სხივების ზემოქმედებას.
ფრჩხილების მოვლა	მოერიდეთ ფეხისა და ხელის ფრჩხილების დაზიანებას. მოერიდეთ ფრჩხილის ლაქს, გარდა იმ (დამცავი) ლაქისა, რომელიც გირჩიათ სამედიცინო გუნდმა. უპირატესობა მიანიჭეთ ფრჩხილების სწორად და არა ზედმეტად მოკლედ დაჭრას.
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჭაგრისი და გამოიყენეთ პირის ღრუს სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან სპირტის შემცველი პირის ღრუს სავლებების გამოყენებას
თმის ცვენა	შეიჭარი თმა. მოიძიეთ ინფორმაცია პარიკებზე და მათ დაფინანსებაზე გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჭაგრისს მოერიდეთ თმის ძალიან ხშირად დაბანას. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, მეღირებას და ქიმიურ დახვევას.
თვალეები	მოერიდეთ საკონტაქტო ლინზების ტარებას. მოერიდეთ დაბალი განათების პირობებში მართვას.



დადღილობა	ამჟობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
ანთება პირის ღრუში (წყლულები)	მოერიდეთ მჟავე ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.
მადის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებს და „გემრიელი კვებას“.

